

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



გიორგი პოპოვი

“ნიადაგში გრიგალური დენების განაწილების  
შესწავლა”

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია

ნაშრომი შესრულებულია მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის  
მოსაპოვებლად ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ფიზ. მათ. მეცნ. კანდიდატი  
ასოცირებული პროფესორი  
დავით კაკულია

თბილისი

2018

---

# სარჩევი

---

ანოტაცია .....	3
Annotation .....	4
შესავალი.....	5
§1.1 აქტუალურობა.....	5
§1.1.1 ჰუმანიტარული განადმვის პრობლემა .....	5
§1.1.2 ელექტრომაგნიტური დაზვერვის პრობლემა .....	7
§1.2 არსებული განადმვის სისტემების მიმოხილვა .....	8
ამოცანა .....	11
§2.1 ამოცანის ჩამოყალიბება .....	11
§2.2 ქვეამოცანები .....	11
მეთოდები .....	12
§3.1 ელექტრომაგნეტიზმის მოკლე მიმოხილვა .....	12
§3.1.1 მაქსველის დიფერენციალური განტოლებები .....	12
§3.1.2 მაქსველის განტოლებების ინტეგრალური სახე .....	14
§3.1.3 სასაზღვრო პირობები.....	14
§3.1.4 ბესელის ფუნქციები .....	16
§3.1.5 ნიადაგის ძირითად ელექტრომაგნიტური თვისებები .....	17
§3.2 ი. დასის ნიადაგში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების მოდელირების მეთოდი .....	18
§3.2.1 ველები ჰაერში .....	22
§3.2.2 ველები ნიადაგში .....	23
§3.3 დამხმარე გამომსხივებლენის მეთოდი - Method of Auxiliary Sources (MAS) .....	24
§3.4 მომენტების მეთოდი - Method of Moments (MoM) .....	34
მოდელირება და შედეგები .....	35
დასკვნა.....	36
გამოყენებული ლიტერატურა.....	37
დანართი .....	41

---

## ანოტაცია

---

ნაშრომში განხილულია მაღალსიხშირული ( $\geq 100$  კჰც) ელექტრომაგნიტური დასხივებით გამოწვეული ელექტრომაგნიტური ველების და გრიგალური დენების ნიადაგში განაწილების მოდელირების შედეგები. მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება ახალი ტიპის დეტექტორული სისტემების შესაქმნელად, კერძოდ კი ნიადაგში არსებული ღრუ არეების დეტექტირებისთვის, სადაც პოტენციურად შეიძლება იყოს განთავსებული არამეტალური ნაღმები ან იმპროვიზირებული ასაფეთქებელი მოწყობილობები. ნაშრომის ფარგლებში შემენილი ცოდნა და გამოცდილება იქნება სასარგებლო მსგავსი ამოცანების გადასაჭრელად გეოფიზიკაში. შედეგებს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს რეგიონალური კონფლიქტების და საომარი მოქმედებების შედეგად დანადგმული ტერიტორიების გასაწმენდად.

არსებული ნაშრომის მომდევნო ეტაპები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს განადმვითი ტექნოლოგიების განვითარებაში.

ნაშრომი შედგება შესავლისგან, და ოთხი თავისგან: ამოცანა, მეთოდები, მოდელირება და შედეგები და დასკვნა. თითო თავი დაყოფილია ქვეთავებად. ნაშრომის შესავალში აღწერილია პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა და მისი აქტუალურობა, მოყვანილია არსებული სისტემები და მეთოდები. პირველ თავში ჩამოყალიბებულია ამოცანა და აღწერილია დასახული მიზნები. მეორე თავში მოყვანილია გამოყენებული მეთოდები. მესამე თავში აღწერილია შესრულებული სამუშაო და მოდელირებისთვის შექმნილი პროგრამული პაკეტი, ხოლო მეოთხე თავში კი გამოტანილია დასკვნა. მიღებული შედეგები და პროგრამული კოდები მოყვანილია დანართში.

---

# Annotation

---

In the current paper, computer modeling of a distribution of electromagnetic fields and eddy currents in the soil caused by high frequency ( $\geq 100$  kHz) electromagnetic radiation is reviewed. Results then will be used for creating a new type of detection system, more specifically a system that can detect voids in the soil, where non-metallic landmines and other explosives can be potentially placed. Experience and knowledge gained during the work on this project will be helpful for solving geophysical problems. The results will have international importance for demining areas mined during regional conflicts and hostilities.

The next stages of the current project will make an important contribution to the development of demining technologies.

The current thesis consists of an introduction and four chapters: a problem, methods, modelling and results, and conclusion. Each of the chapters consists of subchapters. The introduction includes an overview of the problem discussed in the thesis and its actuality, existing systems and methods. The first chapter describes the problem and tasks. The second chapter describes methods and software used for modeling. The third chapter of the thesis describes work done on modeling of eddy currents. Lastly, the four chapter of the current thesis includes a conclusion. Results and programming codes are available in the Supplemental Section of the current thesis.

# შესავალი

## §1.1 აქტუალურობა

### §1.1.1 ჰუმანიტარული განადმგვის პრობლემა

დღესდღეობით ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემა, რომლის წინაშეც კაცობრიობა დგას, არის «ჰუმანიტარული განადმგვის» პრობლემა.

ნაღმი - ფეთქებადი მოწყობილობაა, რომელიც მოქმედებაში მოდის მასთან სიახლოვის ან კონტაქტის შედეგად. ნაღმს, რომელიც მიწაზე ან მიწის ქვეშ არის მოთავსებული, შეუძლია ათწლეულების განმავლობაში აქტიურ მდგომარეობაში ყოფნა. ნაღმის დეტონაცია ხდება მასზე გარე ძალების ზემოქმედების დროს (ადამინი, ცხოველი, ტექნიკა და ა.შ.). თავისი დანიშნულების მიხედვით ნაღმების რამოდენიმე ტიპი არსებობს: ტანკსაწინააღმდეგო, ქვეითთაწინააღმდეგო, ობიექტური, სპეციალური და ა.შ..

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოს ყველა რეგიონში ამა თუ იმ მიზეზის გამო სამხედრო კონფლიქტები ხდებოდა. ყველა ამ კონფლიქტს თან ახლდა სახმელეთო ნაღმების გამოყენება. ამასთან, წლიდან წლამდე, ნაღმების გამოყენების აქტიურობა და მასშტაბი იზრდებოდა. შედეგად, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიოს ყველა რეგიონში, 64 ქვეყნის ტერიტორიაზე დაახლოებით 110 მილიონი ნაღმი არის დაყენებული და 100 მილიონი კი მზადაა დაუყოვნებელი გამოყენებისთვის.

სპეციალისტების თვალსაზრისით, სახმელეთო ნაღმების გამოყენების აქტივიზაცია შემდეგი მიზეზებით არის განაპირობებული:

- ქმედების დიდი ეფექტურობა; მძიმე საბრძოლო მანქანების წყობიდან გამოყვანის შესაძლებლობა, ცოცხალი ძალისთვის ზიანის მიყენება (ამერიკაში ერთ ნაღმზე დაჭრილი ადამიანის მკურნალობისთვის საჭირო თანხა საშუალოდ 5000 აშშ დოლარს შეადგენს)

- მარტივი კონსტრუქცია, რის გამოთაც მათ დასამზადებლად დაბალკვალიფიცირებული პერსონალიც კი საკმარისია

- დაბალი ღირებულება; ზოგიერთი ქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმის ღირებულება 3 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო ტანკსაწინააღმდეგოს – 75. ამავე დროს ნაღმების ნეიტრალიზაციის ხარჯები 300-1000 აშშ დოლარის ფარგლებში ვარიირებს

- ფართო საერთაშორისო ბაზრის არსებობა (ამჟამად ცნობილია ნაღმების დაახლოებით 700 ნაირსახეობა, რომლებისგან უმეტესობის ფასი 0.5-300 აშშ დოლარის ფარგლებშია)

- მწარმოებელთა ქვეყნების და ექსპორტიორების მყიდველისთვის მარტივად და იაფად ნაღმების დიდი პარტიების მიწოდების უნარი

არსებულ პრობლემებს აუარესებს მოსახლეობის აუფეთქებელ ნაღმებზე და ჭურვებზე აფეთქების საშიშროება. ეს პრობლემა განსაკუთრებით დამახასიათებელია კუვეიტის, კამბოჯისა და ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიებისთვის.

საერთაშორისო წითელი ჯვრის შეფასებით მსოფლიოში ნაღმებზე აფეთქების შედეგად ყოველთვიურად საშუალოდ 800 ადამიანი იღუპება. 1975 წლიდან ნაღმების აფეთქების შედეგად დაიღუპა ან დაშავდა მილიონ ადამიანზე მეტი. სიტუაციას აუარესებს განაღმვის დაბალი ტემპი - ასი ათასს ნეიტრალიზირებულ ნაღმზე მოდის ორი - ხუთი მილიონი ახალი. ასეთი ვითარების გამო გასული საუკუნის ბოლოსკენ დაყენებული ნაღმების რაოდენობა 110 მილიონიდან (რომელთა განაღმვისათვის საჭირო თანხა დაახლოებით 33 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს) 135 მილიონამდე გაიზარდა.

## §1.1.2 ელექტრომაგნიტური დაზვერვის პრობლემა

ელექტროდაზვერვის გამოყენება აჩქარებს და აიაფებს გეოლოგიურ კვლევებს ძვირადღირებული საბურღე სამუშაოების შემცირების ხარჯზე. ელექტროდაზვერვის განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული ახალი მეთოდების შემუშავებასთან და ნიადაგის დამუშავების სიზუსტესთან.

ელექტროძიებას დიდი გამოყენება აქვს არქეოგეოფიზიკაში (არქეოლოგიური გეოფიზიკა). ამ მიმართულების ძირითადი ამოცანა დაფარული მატერიალურ-კულტურული მემკვიდრობის ძეგლების ძიების გეოფიზიკური მეთოდების შესწავლა არის.

ძიების გეოფიზიკური და არქეოლოგიური მეთოდები მიწის სიღრმეში არსებულ ობიექტების გამოვლენას ემსახურება. გეოფიზიკა ზოგადად დიდ სიღრმეზე არსებულ ობიექტებს იკვლევს. გეოფიზიკისგან განსხვავებით, არქეოლოგიური ძიების ძირითადი ამოცანა არის მცირე სიღრმეზე განლაგებული ძეგლების აღმოჩენა.

ელექტროძიება ზოგადად ორ ნაწილად იყოფა: ელექტროძიება მუდმივი დენით და ელექტროძიება ცვლადი დენით. მუდმივი დენით ელექტროძიება დაკავშირებული არის გარემოში მუდმივი დენის გავლისას კუთრი წინაღობის შესწავლასთან, ხოლო ცვლადი დენით კი - მასთან დაკავშირებული ელექტრომაგნიტური ველის შესწავლასთან.

ელექტრომაგნიტური ტალღებით ზონდირება ასევე არის გამოყენებული გეორადარში. ზონდირების მუშაობის პრინციპი მარტივია: გადამცემი ანტენით ხდება ელექტრომაგნიტური ველით ნიადაგის დასხივება. ელექტრომაგნიტური ტალღები შემდეგ აირეკლება მიწისქვეშა ობიექტებიდან და მათი დეტექტირება ხდება მიმღები ანტენის მეშვეობით. ამის შემდეგ შესაძლებელი ხდება მიღებული ინფორმაციის ვიზუალიზაცია.

ელექტრომაგნიტური მეთოდებით კულტურული ფენების შესწავლა უდიდესი მეთოდური მიღწევაა, რომელშიც შეჯერებულია მაგნიტოძიების და ელექტროძიების საშუალებები. ეს მეთოდები პრაქტიკულად არაა მგრძნობიარე შესასწავლი ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების მიმართ

[42]. GPR (Ground Penetrating Radar) [29] ფართოდ იწერება არქეოლოგიურ კვლევებში.

ნიადაგის ძირითად ელექტრომაგნიტური თვისებებს მიეკუთვნება: დიელექტრიკული შეღწევადობა ( $\epsilon$ ), ელექტროგამტარობა ( $\sigma$ ) მაგნიტური ამთვისებლობა ( $\chi$ ), მაგნიტური შეღწევადობა ( $\mu$ ), ელექტროქიმიური აქტიურობა ( $\alpha$ ) და პოლარიზებადობა ( $\eta$ ).  $\rho$ ,  $\epsilon$ ,  $\mu$  პარამეტრებით და ველის სიხშირით განისაზღვრება გარემოს ველის შთანთქმის კოეფიციენტი. დამატებითი ინფორმაცია ამ პარამეტრების შესახებ იხ. თავში. §3.1.5 ნიადაგის ძირითად ელექტრომაგნიტური თვისებები.

## §1.2 არსებული განაღმვის სისტემების მიმოხილვა


უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ პრობლემის გადასაჭრელად სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებების მხრიდან ჩაიდო დიდი ძალისხმევა. განსაკუთრებით პრობლემატურია პლასტმასისა და ნაკლებად მეტალური ნაღმების აღმოჩენა დაბალ სიხშირეზე მომუშავე სენსორებით.

დღესდღეობით ხშირად გამოიყენება მიწაში შეღწევადი რადარი (Ground-penetrating radar – GPR) [29]. GPR არის გეოფიზიკური მეთოდი, რომელიც რადარის იმპულსების გამოყენებით ზედაპირქვეშა სტრუქტურების ასახვას ახდენს. ამისთვის GPR იყენების მაღალსიხშირულ (ხშირ შემთხვევაში პოლარიზებულ) რადიოტალღებს 10მჰც - 2.6გჰც დიაპაზონში. GPR სისტემის გამოყენებით ხდება ელექტრომაგნიტური ტალღებით მიწის დასხივება. დასხივება შეიძლება მოხდეს ერთი ან რამოდენიმე ადგილიდან. დასხივების შემდეგ ხდება არეკვლილი ველის ფიქსირება დროსა და სივრცეში. მიღებული სიგნალი ხშირ შემთხვევაში არ შეიცავს სრულ განმასხვავებელ ინფორმაციას. ეს პრობლემატურს ხდის სხვადასხვა შემადგენლობის სხეულების გარჩევას ერთმანეთისგან.

GPR სისტემისგან განსხვავებით, EMI სისტემები (Electromagnetic Induction, ელექტრომაგნიტური ინდუქცია) ფუნქციონირებენ დაბალ სიხშირულ დიაპაზონში, დაახლოებით 10ჰც-დან - 100კჰც-მდე [30]. ამ სიხშირეებზე მიწა ძირითადად „გამჭირვალეა“, რადგან ფენის სიღრმე (Skin



Depth) დიდია მოცემული მიწის გამტარებლობასთან მიმართებით [31]. EMI სენსორები სხეულებზე დენების ინდუცირებით იღებენ მათზე ინფორმაციას. დაცემული ველის მიერ აღძრული დენები წარმოქმნიან მეორად მაგნიტურ ველს. ეს ველი შემდგომ ბრუნდება სენსორში, სადაც მისი ფიქსირება ხდება. EMI სისტემები ძირითადად კარგად მუშაობენ მეტალის სხეულების დეტექტირებაზე 1 მეტრის სიღრმეზე. ასეთ სხეულებს მიეკუთვნება ე.წ. UXO (Unexploded Ordnance, აუფეთქებელი საბრძოლო მასალა) [32] ობიექტები.



სურ. 1, დეტექტირების მეთოდები

COBRA და ASTAMIDS სისტემები გამოიყენება სანაპირო დაზვერვისთვის. COBRA სისტემა შედგება სამი კამერისგან, ერთი წინა ხედვის და ორი სპექტრალურისაგან. მათი საშუალებით ხდება სპექტრალური ანომალიების დეტექტირება მიწაში, რომლებსაც ნაღმის ზომები აქვთ. მიღებული ინფორმაცია შემდგომ გადაეცემა სახმელეთო ტაქტიკური ინფორმაციის ასახვის სისტემას, სადაც, მიღების შემდეგ, გადის დამუშავებას. სისტემის ნაკლი არის დამუშავებისთვის საჭირო დრო.

ASTAMIDS სისტემა შედგება ცილინდრული კონტეინერისგან ინფრაწითელი სენსორებით და ციფრული დამუშავების ელექტრული სქემებით. მას შეუძლია მეტალის ნაღმების და ნაღმების მეტალის მცირე რაოდენობით დეტექტირება. ASTAMIDS სისტემას ინფორმაციის დამუშავებისთვის ასევე სჭირდება დიდი დრო.

CIMMD სისტემას ინფრაწითელი სენსორების გარდა ასევე გააჩნია ელექტრომაგნიტური ინდუქციური სენსორებიც. სისტემის საშუალებით ხდება არამეტალური ნაღმების დეტექტირება.

# ამოცანა

## §2.1 ამოცანის ჩამოყალიბება

არსებული პროექტის საბოლოო მიზანია ახალი ტიპის დეტექტორული სისტემის შექმნა, რომლის საშუალებით ნიადაგში არსებული ღრუ არეების, სადაც პოტენციურად არამეტალური ნაღმები და იმპროვიზირებული ასაფეთქებელი მოწყობილობები შეიძლება იყოს განთავსებული, დეტექტირება იქნება შესაძლებელი. პროექტის პირველი ეტაპი არის არსებული სამაგისტრო ნაშრომის ამოცანა, კერძოდ კი მაღალსიხშირული ( $\geq 100$  კჰც) ელექტრომაგნიტური დასხივებით გამოწვეული ელექტრომაგნიტური ველების და გრიგალური დენების ნიადაგში განაწილების მოდელირება.

ნაშრომში ელექტრომაგნიტური ველის გამომსხივებლის წყაროდ აღებულია ერთი ხვიისგან შემდგარი კოჭა. მოდელირების დროს გამოყენებული სიხშირე არის 100კჰც.

## §2.2 ქვეამოცანები

არსებული ამოცანის გადაწყვეტა, დამუშავება და მოდელირება შემდეგი საფეხურების გავლით მოვახდენთ:

- კოჭის მიერ გამოსხივებული ელექტრული და მაგნიტური ველების მოდელირება ღია სივრცეში ი. დასის მეთოდით [3]
- კოჭის მიერ გამოსხივებული ელექტრული და მაგნიტური ველების მოდელირება ღია სივრცეში სხვა მეთოდებით (EMCoS Studio [40], Method of Moments [37])
- სხვადასხვა მეთოდით მიღებული შედეგების ერთმანეთთან შედარება
- ი. დასის მეთოდით ელექტრული და მაგნიტური ველების მოდელირება ნიადაგის არსებობისას
- ნიადაგში გრიგალური დენების განაწილების მოდელირება

# მეთოდები

## §3.1 ელექტრომაგნიტიზმის მოკლე მიმოხილვა

ამ თავში ჩვენ მოკლედ განვიხილავთ ელექტრომაგნიტურ თეორიას. ჩვენ მოვიყვანთ მაქსველის განტოლებების როგორც დიფერენციალურ, ასევე ინტეგრალურ სახეებს და განვიხილავთ ელექტრომაგნიტურ სასაზღვრო პირობებს.

### §3.1.1 მაქსველის დიფერენციალური განტოლებები

ფარადეის ინდუქციის კანონი	$\nabla \times \vec{E} = -\frac{\partial \vec{B}}{\partial t}$	(1.1)
მაგნიტური ველის ცირკულაციის თეორემა	$\nabla \times \vec{H} = \vec{j} + \frac{\partial \vec{D}}{\partial t}$	(1.2)
გაუსის კანონი	$\nabla \cdot \vec{D} = \rho$	(1.3)
გაუსის კანონი მაგნიტური ველისთვის	$\nabla \cdot \vec{B} = 0$	(1.4)

სადაც

- $\vec{E}$  არის ელექტრული ველის დამაბულობის ვექტორი [ ვ / მ ]
- $\vec{H}$  - მაგნიტური ველის დამაბულობის ვექტორი [ ა / მ ]
- $\vec{D}$  - ელექტრული წანაცვლების ვექტორი (ელექტრული ინდუქცია) [ კულ / მ<sup>2</sup> ]
- $\vec{B}$  - მაგნიტური ინდუქციის ვექტორი [ ტლ ]
- $\vec{j}$  - დენის მოცულობითი სიმკვრივე [ ა / მ<sup>2</sup> ]
- $\rho$  - მუხტის მოცულობითი სიმკვრივე [ კულ / მ<sup>3</sup> ]

იზოტროპული, ერთგვაროვანი წრფივი გარემოსთვის ადგილი აქვს მატერიალურ განტოლებებს:

$$\vec{D} = \varepsilon \vec{E} \quad (1.5)$$

$$\vec{B} = \mu \vec{H} \quad (1.6)$$

სადაც

- $\varepsilon$  - გარემოს დიელექტრიკული შეღწევადობა [ ფ / მ ]
- $\mu$  - გარემოს მაგნიტური შეღწევადობა [ ჰნ / მ ]

(1.5) და (1.6) განტოლებების გათვალისწინებით შეგვიძლია გადავწეროთ მაქსველის განტოლებები შემდეგი სახით:

$$\nabla \times \vec{E} = -\mu \frac{\partial \vec{H}}{\partial t} \quad (1.7)$$

$$\nabla \times \vec{H} = \vec{j} + \varepsilon \frac{\partial \vec{E}}{\partial t} \quad (1.8)$$

$$\varepsilon \nabla \cdot \vec{E} = \rho \quad (1.9)$$

$$\nabla \cdot \vec{H} = 0 \quad (1.10)$$

დროში ჰარმონიული ველის შემთხვევაში კი,

$$\frac{\partial \vec{H}}{\partial t} = i\omega \vec{H} \Rightarrow \nabla \times \vec{E} = -i\mu\omega \vec{H} \quad (1.11)$$

$$\frac{\partial \vec{E}}{\partial t} = i\omega \vec{E} \Rightarrow \nabla \times \vec{H} = \vec{j} + i\varepsilon\omega \vec{E} \quad (1.12)$$

### §3.1.2 მაქსველის განტოლებების ინტეგრალური სახე

ფარადეის ინდუქციის კანონი	$\oint_l \vec{E} \cdot d\vec{l} = -\frac{d}{dt} \int_s \vec{B} \cdot d\vec{s}$	(1.13)
მაგნიტური ველის ცირკულაციის თეორემა	$\oint_l \vec{H} \cdot d\vec{l} = \int_s \vec{j} \cdot d\vec{s} + \frac{d}{dt} \int_s \vec{D} \cdot d\vec{s}$	(1.14)
გაუსის კანონი	$\oint_s \vec{D} \cdot d\vec{s} = \int_v \rho dv$	(1.15)
გაუსის კანონი მაგნიტური ველისთვის	$\oint_s \vec{B} \cdot d\vec{s} = 0$	(1.16)

აქ  $s$  ორგანზომილებიანი, გაუსის თეორემაში ჩაკეტილი, ხოლო ფარადეის და ამპერი-მაქსველის განტოლებაში ღია ზედაპირია, რომელიც შემოსაზღვრავს  $v$  მოცულობას, რომლის საზღვარი არის  $l$  ჩაკეტილი კონტური.

### §3.1.3 სასაზღვრო პირობები

ორი გარემოს გამყოფ საზღვარზე ადგილი აქვს შემდეგ სასაზღვრო პირობებს [43]:

- ერთი გარემოდან მეორეში გადასვლისას ელექტრული ველის მხები მდგენელი (ტანგენციალური, გასწვრივი) უწყვეტია

$$\vec{n} \times \vec{E}_1 = \vec{n} \times \vec{E}_2, \quad (1.17)$$

სადაც  $\vec{E}_1$  და  $\vec{E}_2$  ელექტრული ველებია პირველ და მეორე გარემოში, ხოლო  $\vec{n}$  - ორი გარემოს გამყოფი ზედაპირის ნორმალია

- თუკი ერთ-ერთი გარემო იდეალური გამტარია, მაშინ ველი მასში ვერ აღწევს და ამ შემთხვევაში

$$\vec{n} \times \vec{E}_1 = \vec{n} \times \vec{E}_2 = 0 \quad (1.18)$$

3. თუ ორი გარემოს გამყოფ საზღვარზე არსებობს თავისუფალი ელექტრული მუხტები, მაშინ  $\vec{D}$  ნორმალური მდგენელი განიცდის წყვეტას

$$\vec{n} \cdot \vec{D}_1 - \vec{n} \cdot \vec{D}_2 = q, \quad (1.19)$$

სადაც  $q$  თავისუფალი მუხტების ზედაპირული სიმკვრივეა

4. ერთი გარემოდან მეორეში გადასვლისას  $\vec{B}$  მდგენელი უწყვეტია

$$\vec{n} \cdot \vec{B}_1 = \vec{n} \cdot \vec{B}_2 \quad (1.20)$$

5. თუ ერთ-ერთი გარემო იდეალური გამტარია, მაშინ  $\vec{B}$  და  $\vec{H}$  ნორმალური მდგენელები ამ გარემოში ნულია და ადგილი აქვს ტოლობას

$$\vec{n} \cdot \vec{B}_1 = \vec{n} \cdot \vec{B}_2 = \vec{n} \cdot \vec{H}_1 = \vec{n} \cdot \vec{H}_2 = 0 \quad (1.21)$$

6. თუ ორი გარემოს გამყოფ საზღვარზე გვაქვს ელექტრული დენი, მაშინ  $\vec{H}$  გასწორვი მდგენელი განიცდის წყვეტას

$$\vec{n} \times \vec{H}_1 - \vec{n} \times \vec{H}_2 = \vec{\sigma}, \quad (1.22)$$

ხოლო, თუ ერთ-ერთი (დავუშვათ მეორე) გარემო იდეალური გამტარია მაშინ

$$\vec{n} \times \vec{H}_1 = \vec{\sigma}, \quad (1.23)$$

სადაც  $\vec{\sigma}$  ზედაპირული დენის სიმკვრივეა

7. მაგნიტური მუხტების და დენების შემოტანის შემთხვევაში გვექნება შემდეგი სასაზღვრო პირობები

$$\vec{n} \times \vec{E}_1 - \vec{n} \times \vec{E}_2 = \vec{\sigma}_{\text{მაგ}}, \quad (1.24)$$

$$\vec{n} \cdot \vec{B}_1 - \vec{n} \cdot \vec{B}_2 = \eta_{\text{მაგ}}, \quad (1.25)$$

სადაც  $\vec{\sigma}_{\text{მაგ}}$  და  $\eta_{\text{მაგ}}$  ზედაპირული მაგნიტური დენის და მაგნიტური მუხტის სიმკვრივეებია

8. თუ ერთ-ერთი გარემო ხასიათდება დიდი, მაგრამ სასრული გამტარებლობით, მაშინ  $\vec{E}$  და  $\vec{H}$  მხები მდგენელები გარემოს გამყოფ ზედაპირზე ერთმანეთთან დაკავშირებულია შემდეგი მიახლოებითი ტოლობით:

$$\vec{n} \times \vec{E} \approx \sqrt{\frac{\mu}{\epsilon'}} (\vec{n} \cdot (\vec{n} \times \vec{H})) \quad (1.26)$$

### §3.1.4 ბესელის ფუნქციები

ბესელის ფუნქციები - მათემატიკაში ფუნქციების ოჯახი, რომლებიც ბესელის დიფერენციალური განტოლების კანონიკური ამოხსნები არიან:

$$x^2 \frac{d^2 y}{dx^2} + x \frac{dy}{dx} + (x^2 - a^2)y = 0, \text{ ბესელის დიფ. განტოლება,} \quad (1.27)$$

სადაც  $a$  - ნებისმიერი ნამდვილი რიცხვია (ზოგადად შემთხვევაში - კომპლექსური), რომელსაც რიგს უწოდებენ.

ბესელის განტოლება გვხდება ლაპლასის და ჰელმჰოლცის განტოლებების ცილინდრულ და სფერულ კოორდინატებში ამოხსნის დროს. ამიტომ ბესელის ფუნქციები ხშირად გამოიყენება ტალღების გავრცელების ამოცანებში, მაგალითად:

- ელექტრომაგნიტური ტალღები ცილინდრულ ტალღგამტარში
- სითბოგამტარობა ცილინდრულ ობიექტებში
- თხელი მრგვალი მემბრანის რხევის ფორმები
- მრგვალ ხვრელზე დიფრაგირებული სინათლის ინტენსიობის განაწილება
- ნაწილაკების სიჩქარე სითხით შევსებულ და თავისი ღერძის გარშემო მბრუნავ ცილინდრში
- ტალღური ფუნქციები სფერულ სიმეტრიულ პოტენციურ ყუთში

ბესელის ფუნქციები სხვა ამოცანებშიც გამოიყენება, მაგალითად, სიგნალების დამუშავების დროს.

პირველი გვარის ბესელის ფუნქციები აღინიშნება  $J_a(x)$ -ით. ეს ფუნქციები ბესელის დიფერენციალური განტოლების ამონახსნებია  $x = 0$  წერტილში,  $a$ -ს მთელი ან არაუარყოფითი მნიშვნელობების დროს.


ეს ფუნქციები მწკრივის სახით შეგვიძლია გამოვსახოთ:

$$J_a(x) = \sum_{m=0}^{\infty} \frac{(-1)^m}{m! \Gamma(m+a+1)} \left(\frac{x}{2}\right)^{2m+a}, \quad (1.28)$$

სადაც  $\Gamma$  ეილერის გამა ფუნქციაა.

$$\Gamma(z) = \frac{1}{z} \prod_{n=1}^{\infty} \frac{(1 + \frac{1}{n})^z}{1 + \frac{z}{n}}, \quad z \in \mathbb{C} \setminus \{0, -1, -2, \dots\} \quad (1.29)$$





სურ. 2. ბესელის ფუნქციების  $J_a(x)$  გრაფიკი, სადაც  $a = 0, 1$  და  $2$

ბესელის ფუნქციების გრაფიკი მიღევადი სინუსოიდის ფორმისაა, მაგრამ მათი ნულები არაპერიოდულია.

### §3.1.5 ნიადაგის ძირითად ელექტრომაგნიტური თვისებები

როგორც უკვე ნაშრომის შესავლის ნაწილში აღვნიშნეთ, ნიადაგის ძირითად ელექტრომაგნიტური თვისებებს მიეკუთვნება: დიელექტრიკული შეღწევადობა ( $\epsilon$ ), ელექტრული გამტარობა ( $\sigma$ ) მაგნიტური ამთვისებლობა ( $\chi$ ), მაგნიტური შეღწევადობა ( $\mu$ ), ელექტროქიმიური აქტიურობა ( $\alpha$ ) და პოლარიზებადობა ( $\eta$ ). ქვემოთ მოყვანილია ამ თვისებების განმარტებები.

- დიელექტრიკული შეღწევადობა:
  - აბსოლუტური - ( $\epsilon$ , [ფ / მ]), აკავშირებს ერთმანეთთან  $\vec{E}$  ელექტრული ველის დამაბულობას და  $\vec{D}$  ელექტრულ ინდუქციას;

- ფარდობითი - ( $\epsilon_r$ , უგანზ.), კოეფიციენტი, რომელიც აჩვენებს რამდენჯერ განსხვავდება ერთმანეთისგან ორი მუხტის ურთიერთქმედება ერთ გარემოში მეორესგან.
- მაგნიტური შეღწევადობა:
  - აბსოლუტური - ( $\mu$ , [ $\text{ჰნ} / \text{მ}$ ]), აკავშირებს ერთმანეთთან  $\vec{H}$  მაგნიტური ველის დამაბულობას და  $\vec{B}$  მაგნიტურ ინდუქციას;
  - ფარდობითი - ( $\mu_r$ , უგანზ.), კოეფიციენტი, რომელიც ტოლია  $\mu_r \frac{\mu}{\mu_0}$ , სადაც  $\mu_0$  მაგნიტური მუდმივაა.
- ელექტროგამტარობა: ( $\sigma$ , [ $\text{სიმ} / \text{მ}$ ]), ნივთიერების უნარი გაატაროს ელექტრული დენი.
- მაგნიტური ამთვისებლობა: ( $\chi$ , უგანზ.), ფიზიკური სიდიდე, რომელიც ნივთიერების მაგნიტური მომენტის მასში არსებულ მაგნიტურ ველთან კავშირს ახასიათებს,  $\chi = \frac{M}{H}$ , სადაც  $M$  მაგნიტური ველის ზემოქმედებით ნივთიერების დამაგნიტებულობაა, ხოლო  $H$  - მაგნიტური ველის დამაბულობაა.
- ელექტროქიმიური აქტიურობა: ( $\alpha$ , ვ), ნივთიერების თვისება შექმნას საკუთარი მუდმივი ელექტრული ველი.
- პოლარიზებადობა: ( $\eta$ , უგან.), ნივთიერების, მასში დენის გავლის დროს, მუხტების დაგროვების, ხოლო დენის შეწყვეტის შემდეგ - განმუხტვის თვისებაა.

### §3.2 ი. დასის ნიადაგში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების მოდელირების მეთოდი

ზოგიერთი ნიადაგი არასასურველ გავლენას ახდენს მგრძნობიარე მეტალის დეტექტორებზე, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ნიადაგში დამარხულ ნაღმების დეტექტირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გეოფიზიკაში ამ განხრით ჩატარებული იყო ბევრი სამუშაო, მეტალის დეტექტირების მკვლევარები ბოლო დრომდე არ ითვალისწინებდნენ პრობლემური ნიადაგის საკითხს. შედეგად, ამ დარგში არსებობს მკაცრი

სამეცნიერო გამოკვლევების ნაკლებობა, კერძოდ კი საკითხში, თუ როგორ და რა გავლენას ახდენენ ნიადაგის ელექტრომაგნიტური პარამეტრები მეტალის დეტექტორებზე. ამიტომ არსებობს საჭიროება იმისა, რომ ამ სფეროში ჩატარდეს როგორც თეორიული, ასევე ექსპერიმენტალური კვლევა იმისთვის, რომ გავარკვიოთ, რა ელექტრომაგნიტური პარამეტრები მნიშვნელოვანია და რა გავლენას ახდენენ ისინი სხვადასხვა ტიპის მეტალის დეტექტორებზე.

იოგაჯიმ დასის მეთოდში ნიადაგი დამოძვლირებული არის, როგორც ნახევარსივრცე. ამასთან ივარაუდება, რომ ელექტრული გამტარობა ( $\sigma$ ) არის რეალური ( $\sigma \in \mathbb{R}$ ) და არ არის დამოკიდებული სიხშირეზე, ხოლო მაგნიტური ამთვისებლობა კომპლექსურია ( $\chi \in \mathbb{C}$ ) და არის დამოკიდებული სიხშირეზე.

გეოფიზიკაში ჩატარებულ სამუშაოებში და კვლევებში ხშირ შემთხვევაში წყაროსა და მიმღების როლს ასრულებს დიპოლი. ამასთან სამეცნიერო კვლევებში ძირითადად კონცენტრაციას ახდენენ მიწის გამტარებლობაზე, ხოლო მიწის მაგნიტურ ამთვისებლობას ნულად ითვლიან. როდესაც მაგნიტური ამთვისებლობა განისაზღვრება როგორც ნულისგან განსხვავებული სიდიდე, ის უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია სიხშირისგან დამოუკიდებელი რეალური კონსტანტის სახით.

მეტალის დეტექტორებში, რომლებიც გამოიყენება განაღმვის დროს, ხშირ შემთხვევაში სენსორის სახით იყენებენ 10-15 სანტიმეტრის რადიუსიან კოჭებს (UXO ობიექტების დეტექტირების დროს გამოიყენება სხვა ტიპის სენსორები, კოჭებით, რომლების რადიუსები დაახლოებით 50 სანტიმეტრის ფარგლებშია). ინტერესის ობიექტები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არიან რამოდენიმე მილიმეტრის ზომის მეტალის საგნები, დამარხულია რამოდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზე (მაქსიმალურ სიღრმედ, ზოგადად, 30 სანტიმეტრი არის მიჩნეული).

ისტორიული მოვლენების გამომდინარე, დღესდღეობით განაღმვის პრობლემა უმეტეს შემთხვევაში დედამიწის ტროპიკულ რეგიონებს ახასიათებს (ამასთან ჰუმანიტარული განაღმვის პრობლემის წინაშე დგას მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონი). ამ რეგიონებში ნიადაგი შეიძლება საკმაოდ მაგნიტური აღმოჩნდეს და მისი მაგნიტური ამთვისებლობა უნდა


იყოს დამოდელირებული როგორც კომპლექსური სიხშირეზე დამოკიდებული სიდიდე.

მოცემული მეთოდი მიზნად არ ისახავს ნიადაგის შემადგენელი ნაწილების და პროცესების და მოვლენების, რომლების გამო ნიადაგს ექმნება მაგნიტური თვისებები, შესწავლას. ინფორმაცია ამ თემაზე მოცემულია [33-39] ნაშრომებში. მიუხედავად ამისა, მეთოდი ითვალისწინებს ნიადაგის ელექტრომაგნიტურ თვისებებს. მეთოდში, როგორც ნიადაგის, ასევე თავისუფალი სივრცის დიელექტრიკული შეღწევადობა ( $\epsilon$ ) მიღებულია სიხშირეზე დამოუკიდებელ სიდიდედ და ზოგიერთ შემთხვევაში რიცხვითი გამოთვლების დროს უგულებელყოფილი იქნება. დიელექტრიკული შეღწევადობის ( $\epsilon$ ) ნაირად, ელექტრული გამტარობა მიღებული არის, როგორც სიხშირისგან დამოუკიდებელი სიდიდე, ხოლო ნიადაგის მაგნიტური პარამეტრები დამოდელირებულია შემდეგი სახით:

$$\mu_1 = \mu_0(1 + \chi(\omega)), \quad (1.30)$$

$$\chi(\omega) = \chi'(\omega) + i\chi''(\omega) = \chi_0 \left( 1 - \frac{1}{\ln\left(\frac{\tau_2}{\tau_1}\right)} \cdot \ln \frac{i\omega\tau_2 + 1}{i\omega\tau_1 + 1} \right), \quad (1.31)$$

სადაც  $\mu_0$  და  $\mu_1$  შესაბამისად თავისუფალი სივრცის და ნიადაგის მაგნიტური შეღწევადობებია.  $\chi(\omega)$  ნიადაგის კომპლექსური სიხშირეზე დამოკიდებული მაგნიტური ამთვისებლობაა, რომლის რეალური და წარმოსახვითი კომპონენტები შესაბამისად  $\chi'$  და  $\chi''$  არის.  $\chi_0$  მაგნიტური ამთვისებლობის DC მნიშვნელობაა. განტოლებაში (1.31), რომელიც წარმოადგენს მაგნიტური ამთვისებლობის ერთ-ერთ მოდელს, ივარაუდება, რომ მაგნიტური რელაქსაციის დროის კონსტანტები ერთგვაროვნად არიან განაწილებულნი  $\tau_2$ -სა და  $\tau_1$ -ს შორის.  $\chi(\omega)$  სიდიდის რეალური და წარმოსახვითი კომპონენტების ყოფაქცევის ანალიზი არის განხილული [40, 41] ნაშრომებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოცემული ამოცანისთვის ნიადაგი ერთგვაროვანი ნახევარსივრცის სახით იქნება დამოდელირებული. ამოცანის გეომეტრიული მოდელი წარმოსახულია სურ. 3-ზე.



სურ. 3, ამოცანის გეომეტრიული მოდელი

დეტექტორი (სენსორი), როგორც ზოგადად ხდება, წარმოდგენილია ორი კონცენტრირებული კოპლანარული წრიული კოჭით. გადამცემი კოჭის რადიუსი და ხვების რაოდენობა შესაბამისად  $a$  და  $N_r$ -ა, მიმღები კოჭის -  $b$  და  $N_r$ . სურ. 3-ზე ასევე მოყვანილია მაგნიტური შეღწევადობები ( $\mu_j$ ), ელექტრული გამტარობები ( $\sigma_j$ ) და დიელექტრული შეღწევადობები ( $\epsilon_j$ ), სადაც  $j=0, 1, 2$  წარმოადგენს შესაბამისად ჰაერს, ნიადაგს და ობიექტს. კოჭა დაყენებულია მიწიდან  $z=h$  სიმაღლეზე. გადამცემის დენი წარმოდგენილია  $Ie^{i\omega t}$  სახით.

წრიული სიმეტრიის გამო, ველის კომპონენტები, რომლებიც ნულის ტოლი არაა, არის  $H$  მაგნიტური ველის  $\rho$  და  $z$  კომპონენტები, ხოლო  $E$  ელექტრული ველის -  $\phi$  კომპონენტა. განტოლებების სიმარტივისთვის შემოტანილია შემდეგი აღნიშვნები:

$$\gamma_0^2 = -\mu_0 \epsilon_0 \omega^2, \tag{1.32}$$

$$u_0^2 = \lambda^2 + \gamma_0^2, \quad (1.33)$$

$$\gamma_1^2 = -i\sigma_1\mu_1\omega - \mu_1\varepsilon_1\omega^2, \quad (1.34)$$

$$u_1^2 = \lambda^2 + \gamma_1^2, \quad (1.35)$$

სადაც  $\lambda$  ინტეგრირების ცვლადია.

როდესაც წანაცვლების დენი არის უგულვებელყოფილი, რაც ხშირ შემთხვევაში ხდება, ზემოთმოცემული განტოლებები გადაიწერება შემდეგნაირად:

$$\gamma_0^2 = 0, \quad (1.36)$$

$$\gamma_1^2 = i\sigma_1\mu_1\omega, \quad (1.37)$$

$$u_1^2 = \lambda^2 + \gamma_1^2. \quad (1.38)$$

### §3.2.1 ველები ჰაერში

ქვემოთ მოცემულია ველების კომპონენტების გამოსახულებები. ზედა ინდექსი + აღნიშნავს სივრცის რეგიონს კოჭის ზემოთ ( $z > h$ ), ხოლო ზედა ინდექსი - კი რეგიონს კოჭისა და ნიადაგს შორის ( $0 < z < h$ ). ზედა ინდექსი *air* აღნიშნავს პირველად ველს, ხოლო *soil* - მეორად, არეკვლილს. წყაროდ აღებული არის ერთხვიანი კოჭა რადიუსით  $a$  და დენით -  $Ie^{i\omega t}$ . დროის კომპონენტა არის ჩახშობილი.

ველები  $z > h$  არეში:

$$\begin{aligned} H_{0\rho}^+ &= H_{0\rho}^{+air} + H_{0\rho}^{+soil} \\ &= \frac{Ia}{2} \int_0^\infty \lambda J_1(\lambda a) e^{-u_0(z-h)} d\lambda \\ &+ \frac{Ia}{2} \int_0^\infty \frac{\mu_1 u_0 - \mu_0 u_1}{\mu_1 u_0 + \mu_0 u_1} \lambda J_1(\lambda a) J_1(\lambda \rho) e^{-u_0(z+h)} d\lambda, \end{aligned} \quad (1.39)$$

$$\begin{aligned}
H_{0z}^+ &= H_{0z}^{+air} + H_{0z}^{+soil} \\
&= \frac{Ia}{2} \int_0^\infty \frac{\lambda^2}{u_0} J_1(\lambda a) J_0(\lambda \rho) e^{-u_0(z-h)} d\lambda \\
&+ \frac{Ia}{2} \int_0^\infty \frac{\mu_1 u_0 - \mu_0 u_1}{\mu_1 u_0 + \mu_0 u_1} \times \frac{\lambda^2}{u_0} J_1(\lambda a) J_0(\lambda \rho) e^{-u_0(z+h)} d\lambda,
\end{aligned} \tag{1.40}$$

$$\begin{aligned}
E_{0\phi}^+ &= E_{0\phi}^{+air} + E_{0\phi}^{+soil} \\
&= -\frac{i\mu_0 \omega Ia}{2} \int_0^\infty \frac{\lambda}{u_0} J_1(\lambda a) J_1(\lambda \rho) e^{-u_0(z-h)} d\lambda \\
&- \frac{i\mu_0 \omega Ia}{2} \int_0^\infty \frac{\mu_1 u_0 - \mu_0 u_1}{\mu_1 u_0 + \mu_0 u_1} \times \frac{\lambda}{u_0} J_1(\lambda a) J_1(\lambda \rho) e^{-u_0(z+h)} d\lambda
\end{aligned} \tag{1.41}$$

$0 < z < h$  არეში გვაქვს ველების შემდეგი გამოსახულებები:

$$\begin{aligned}
H_{0\rho}^- &= H_{0\rho}^{-air} + H_{0\rho}^{-soil} \\
&= -\frac{Ia}{2} \int_0^\infty \lambda J_1(\lambda a) J_1(\lambda \rho) e^{-u_0(h-z)} d\lambda \\
&+ \frac{Ia}{2} \int_0^\infty \frac{\mu_1 u_0 - \mu_0 u_1}{\mu_1 u_0 + \mu_0 u_1} \lambda J_1(\lambda a) J_1(\lambda \rho) e^{-u_0(h+z)} d\lambda,
\end{aligned} \tag{1.42}$$

$$\begin{aligned}
H_{0z}^- &= H_{0z}^{-air} + H_{0z}^{-soil} \\
&= \frac{Ia}{2} \int_0^\infty \frac{\lambda^2}{u_0} J_1(\lambda a) J_0(\lambda \rho) e^{-u_0(h-z)} d\lambda \\
&+ \frac{Ia}{2} \int_0^\infty \frac{\mu_1 u_0 - \mu_0 u_1}{\mu_1 u_0 + \mu_0 u_1} \times \frac{\lambda^2}{u_0} J_1(\lambda a) J_0(\lambda \rho) e^{-u_0(h+z)} d\lambda,
\end{aligned} \tag{1.43}$$

$$\begin{aligned}
E_{0\phi}^- &= E_{0\phi}^{-air} + E_{0\phi}^{-soil} \\
&= -\frac{i\mu_0 \omega Ia}{2} \int_0^\infty \frac{\lambda}{u_0} J_1(\lambda a) J_1(\lambda \rho) e^{-u_0(h-z)} d\lambda \\
&- \frac{i\mu_0 \omega Ia}{2} \int_0^\infty \frac{\mu_1 u_0 - \mu_0 u_1}{\mu_1 u_0 + \mu_0 u_1} \times \frac{\lambda}{u_0} J_1(\lambda a) J_1(\lambda \rho) e^{-u_0(h+z)} d\lambda
\end{aligned} \tag{1.44}$$

### §3.2.2 ველები ნიადაგში

იმის გამო, რომ სენსორების მეშვეობით ველების გაზომვები მხოლოდ ჰაერში ხდება, ველებს ნიადაგში ზოგადად არ ითვალისწინებენ. ამის გარდა,

მიწაში არსებული ობიექტის გამომდახილი ხშირ შემთხვევაში არის აპროქსიმირებული როგორც ნიადაგის ნახევარსივრცისა და ჰაერში ობიექტის გამომდახილების ჯამი. უკეთესი აპროქსიმაცია იქნება, თუ გავითვალისწინებთ ველებს ნიადაგში.

ველების ზოგადი გამოსახულებები ნიადაგში ( $z < 0$ ) არის:

$$H_{1\rho} = -\frac{Ia}{2} \int_0^{\infty} \frac{2\mu_0 u_1}{\mu_1 u_0 + \mu_0 u_1} \lambda J_1(\lambda a) J_1(\lambda \rho) e^{u_1 z} e^{-u_0 h} d\lambda, \quad (1.43)$$

$$H_{1z} = \frac{Ia}{2} \int_0^{\infty} \frac{2\mu_0 \lambda}{\mu_1 u_0 + \mu_0 u_1} \lambda J_1(\lambda a) J_0(\lambda \rho) e^{u_1 z} e^{-u_0 h} d\lambda, \quad (1.44)$$

$$E_{1\phi} = -\frac{i\omega\mu_0 Ia}{2} \int_0^{\infty} \frac{2\mu_1 \lambda}{\mu_1 u_0 + \mu_0 u_1} J_1(\lambda a) J_1(\lambda \rho) e^{u_1 z} e^{-u_0 h} d\lambda. \quad (1.45)$$


ზემოთმოცემულ ველების გამოსახულებებში გამოყენებული არის ბესელის ფუნქციები პირველი გვარის და 0 და 1 რიგის ( $J_0, J_1$ ).

### §3.3 დამხმარე გამომსხივებლების მეთოდი - Method of Auxiliary Sources (MAS)

დიფრაქციისა და გაბნევის მოვლენების გამოკვლევა, რომელიც შეეხება ორ და სამგანზომილებიან ობიექტებს, მეტად მნიშვნელოვანი თემაა მრავალ პრაქტიკულ ამოცანაში და ამ ბოლო წლებში გამოიწვია საკმაოდ დიდი ინტერესი. ეფექტური რიცხვითი მეთოდების შემუშავება წარმოადგენს დიდ პრაქტიკულ ინტერესს. თანამედროვე ტექნოლოგიების ტექნიკური და ფიზიკური პარამეტრების მიმართ მოთხოვნილებების გაზრდის გამო, ეხლანდელი კომპიუტერული რესურსი, რადგან მეხსიერებისა და ცენტრალური პროცესორის შესაძლებლობები დროში შეზღუდულია, შემოსაზღვრავს ისეთი კარგად ცნობილი მეთოდების გამოყენებას, როგორებიცაა: მომენტების მეთოდი, სასრული ელემენტების მეთოდი, სასრული სხვაობები დროით არეში და სხვა.



დამხმარე გამომსხივებლების მეთოდის მკაცრი მათემატიკური დაფუძნება მოცემული იყო ქართველი მათემატიკოსის ვიქტორ კუპრაძის მიერ 1967წ. მეტი თვალსაჩინოებისთვის ამ მეთოდის ძირითადი ასპექტები განიხილება სხვა ფართოდ გავრცელებული რიცხვითი მეთოდების პარალელურად, რომლებიც ემყარებიან ექვივალენტობის თეორემას [9]. ამ თეორემის თანახმად მატერიალურ გარემოში გაბნეული ელექტრომაგნიტური ველი შეიძლება წარმოდგენილ იქნას თავისუფალ გარემოში ექვივალენტური მუხტების და დენების მიერ შექმნილი ველების საშუალებით. ძირითადად ყველა მეთოდი ემყარება გაბნეული ელექტრომაგნიტური ველის წარმოდგენის ამ პრინციპს. ეს მეთოდები მაქსველის განტოლებების ინტეგრალურ წარმოდგენებს იყენებენ. შესაბამისი ინტეგრალური განტოლებების გული წარმოადგენს სინგულარულ ფუნქციას ინტეგრების არეში და ამდენად საჭიროებს განმარტებას, რათა ინტეგრალი იყოს კრებადი. ასეთ განმარტებად გამოდგება ინტეგრალი კოშის მთავარი აზრით. რიცხვითი მოდელირების დროს სასაზღვრო პირობის დასაწერად ჩვეულებრივ იღებენ სხეულის ზედაპირზე რაღაც წერტილთა სიმრავლეს. აღნიშნული სინგულარობების გამო რიცხვითი ინტეგრებისას ხდება სინგულარობის წერტილთაწანაცვლება ზედაპირის მახლობლად. ამ გზით მიიღება ერთ-ერთი უმარტივესი რიცხვითი მეთოდი, ე.წ. ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით გაბნეული ველი წარმოდგენილია იმ მუხტებისა და დენების ველების ჯამად, რომლებიც



სურ. 4

*S* - მეტალური სხეულის ზედაპირი,  
*A* - დამხმარე ზედაპირი,  
*U<sup>i</sup>* - დაცემული ტალღა

სხეულის ზედაპირზე დაცემული ველის მიერ იყვანენ ინდუცირებულნი.

დ.გ.მ. ითვალისწინებს, რომ სხეულის ზედაპირზე გაბნეულ ველს გააჩნია ანალიზური გაგრძელება მის შიდა არეში. ანალიზური გაგრძელების არსებობამ ვ. კუპრაძეს საფუძველი მისცა გაბნეული ველის აღსაწერად ზედაპირული დენების მაგიერ, გამოეყენებინა ზედაპირის შიგნით წანაცვლებული (ჩაჩოჩებული) დენები.

პრობლემის ასეთი კუთხით შეხედვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა, სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა.

დიფრაქციის ამოცანის ჩამოყალიბება შემდეგნაირად არის შესაძლებელი [10]: დიელექტრიკული და მაგნიტური შეღწევადობის მქონე გარემოში მოთავსებულია  $S$  ზედაპირით შემოსაზღვრული სხეული და ცნობილია დაცემული ელექტრომაგნიტური ტალღა  $U^i$ . საჭიროა სივრცის ნებისმიერ წერტილში განისაზღვროს ელექტრომაგნიტური ველის  $E$  და  $H$  ვექტორები.

ზოგადად ამოცანა დაიყვანება ჰელმჰოლცის განტოლების ამონახსნის პოვნაზე, შესაბამისი სასაზღვრო პირობებით:

$$\Delta U^s(\mathbf{r}) + k^2 U^s(\mathbf{r}) = 0, \quad (1.46)$$

$$W\{U^s(\mathbf{r}) - U^i(\mathbf{r})\} = 0, M(\mathbf{r}) \in S, \quad (1.47)$$

სადაც  $U^i(\mathbf{r})$  დაცემული, ხოლო  $U^s(\mathbf{r})$  გაბნეული ელექტრომაგნიტური ველია, ხოლო  $W$ -სასაზღვრო პირობის ოპერატორია.

$\{U(|r_n - r|)\}_{n=1}^{\infty}$  ფუნქციები წარმოადგენენ ჰელმჰოლცის განტოლების ფუნდამენტურ ამონახსნებს, რომელთა საშუალებითაც აღიწერება გაბნეული ველი. სადაც  $\{r_n\}_{n=1}^{\infty}$  ეკუთვნის დამხმარე  $\sigma$  ზედაპირს. ასეთი ფუნქციებია [10]:

ორგანზომილებიან შემთხვევაში:

$$U(|r_n - r|) = H_0^{(1)}(k\sqrt{(x_n - x)^2 + (y_n - y)^2}) \quad (1.48)$$

სამგანზომილებიან შემთხვევაში:

$$U(|r_{n-r}|) = \frac{e^{ik|r_n-r|}}{|r_n-r|}, \quad (1.49)$$

სადაც

$$|r_n - r| = \sqrt{(x_n - x)^2 + (y_n - y)^2 + (z_n - z)^2}, \quad (1.50)$$

$$M(x_n, y_n, z_n) \in \sigma \quad (1.51)$$

$r$  დაკვირვების წერტილამდე რადიუს-ვექტორია,

$$M(\mathbf{r}) = M(x, y, z).$$

კუპრაძის მიერ შემოთავაზებულ დ.გ.მ.-ით, რაიმე ჩაკეტილ ლიაპუნოვის ტიპის ზედაპირით [11] შემოსაზღვრულ სხეულზე ელექტრომაგნიტური ტალღის დიფრაქციის მოდელირებისას გაბნეული

ველი წარმოდგენილია შესაბამისი ტალღური განტოლების ფუნდამენტური ამონახსნების წრფივი კომბინაციით, რომელთა სინგულარობები განლაგებულია ზედაპირიდან დაშორებულ ნებისმიერ გლუვ წარმოსახვით ზედაპირზე (სხეულის შიგნით, სურ. 4), რომელსაც დამხმარე ზედაპირს უწოდებენ, ხოლო მასზე განლაგებულ წყაროებს – დამხმარე გამომსხივებლებს. მეთოდის რიცხვითი რეალიზაციისთვის ძირითად და დამხმარე ზედაპირებზე გამოყოფილია რაღაც აზრით თანაბრად განაწილებულ წერტილთა სიმრავლეები. მაქსველის განტოლებების ფუნდამენტური ამონახსნები, რომელთა სინგულარობებიც ლოკალიზებულია დამხმარე ზედაპირის წერტილებში [12, 13, 14]. ჰელმჰოლცის განტოლების ფუნდამენტურ ამონახსნების  $\{U(|r_n - r|)\}_{n=1}^{\infty}$  ფუნქციათა სისტემა, რომელიც აღწერს ველის მახასიათებლებს (ელექტრულს, მაგნიტურს ან ველის პოტენციალს)  $S$  ზედაპირზე, წარმოადგენს სრულ და წრფივად დამოუკიდებელ სისტემას,  $L2$  ( $S$  ზედაპირზე განსაზღვრულ კვადრატით ინტეგრირებად ფუნქციათა სივრცეში) ფუნქციათა სივრცეში; რაც ნიშნავს, რომ  $\mu$  ზედაპირზე განსაზღვრულ ნებისმიერი კვადრატით ინტეგრირებადი  $U^i(x, y, z)$  ფუნქციისთვის არსებობს ისეთი  $j_k$  კოეფიციენტები, რომ ნებისმიერი  $\varepsilon > 0$  რიცხვისთვის არსებობს ისეთი  $N$ , რომ ნებისმიერი  $n \geq N$  მართებულია შეფასება:

$$\int_s \left\| \left[ \sum_{k=1}^N j_k U(|\mathbf{r}_k - \mathbf{r}|) - U^i(x, y, z) \right] \right\|^2 ds < \varepsilon(N) \quad (1.52)$$

ანუ, აღნიშნული სისტემის სასრული რაოდენობის ფუნქციას  $S$  ზედაპირზე შეუძლია აღწეროს გაბნეული ველის მახასიათებელი ყველა შესაძლო ფუნქცია წინასწარ მოცემული სიზუსტით. ამოხსნა კი გამოისახება ფუნდამენტური ამონახსნების წრფივი კომბინაციით შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით:

$$\int_s \left| W \left[ \sum_{k=1}^N j_k U(|\mathbf{r}_k - \mathbf{r}|) - U^i(x, y, z) \right] \right|^2 ds < \varepsilon(N), \quad (1.53)$$


სადაც  $\varepsilon(N)$  მოცემული სიზუსტეა, რომელიც ზოგადად დამოკიდებულია წერტილთა რაოდენობაზე, ანუ ამ სიზუსტით

$$U^i(x, y, z)|_S \approx \sum_{k=1}^N j_k U_k(|r_k - r|)|_S. \tag{1.54}$$

მაშინ დასმული სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა:

$$\tilde{U}^s(x, y, z)|_S \approx \sum_{k=1}^N j_k U_k(|r_k - r|)|_S. \tag{1.55}$$

ამდენად, ელექტრომაგნიტური ველი ამ ზედაპირზე აპროქსიმირდება მიღებული სრული სისტემის ფუნქციათა წრფივი კომბინაციით. (1.47) ზემოთ აღნიშნული სასაზღვრო პირობის შემთხვევაში ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის გამო, გაბნეული ველის ზედაპირიდან ანალიზური გაგრძელების საშუალებით შესაძლებელია გაბნეული ველის გამოთვლა მთელს სივრცეში. დამხმარე გამომსხივებლების ამპლიტუდები გამოითვლება სასაზღვრო პირობების დაკმაყოფილებით. ძირითადად ამაში მდგომარეობს ვ. კუპრამის მიერ შემოთავაზებული დამხმარე გამომსხივებლების მეთოდის შინაარსი.



სურ. 5

S - დიელექტრიკული სხეულის ზედაპირი,  
 A - დამხმარე ზედაპირები,  
 $U^i$  - დაცემული ტალღა

დიელექტრიკული გამბნევის შემთხვევაში, სხეულის გარეთ გაბნეულ ველთან ერთად საჭიროა სხეულის შიგნით არსებული ველის აღწერაც. ამისთვის საჭიროა ავაგოთ ორი დამხმარე ზედაპირი, გამბნევი სხეულის შიგნით და გარეთ (სურ. 5). დამხმარე გამომსხივებლები,

რომლებიც მოთავსებულნი არიან სხეულის შიგნით არსებულ დამხმარე ზედაპირზე, ისევე როგორც იდეალურად გამტარი სხეულის

შემთხვევაში, განსაზღვრავენ ველს სხეულის გარეთ, ხოლო გარეთ მოთავსებული გამომსხივებლები განსაზღვრავენ ველს დიელექტრიკის შიგნით. თითოეულ ამ ზედაპირზე მოთავსებულია  $N$  რაოდენობის დამხმარე გამომსხივებელი, რომელთა ვექტორ პოტენციალები წარმოდგენილია ჰელმჰოლცის განტოლების ფუნდამენტური ამონახსნებით:

$U(k\sqrt{\varepsilon\mu}|r_n - r|)$ , სადაც  $\varepsilon$  და  $\mu$  შესაბამისად სხეულის დიელექტრიკული და მაგნიტური შეღწევადობებია,  $r_n$  იმ წერტილის რადიუს-ვექტორია, სადაც დამხმარე გამომსხივებელია მოთავსებული, ხოლო  $r$  დაკვირვების წერტილის რადიუს-ვექტორია. უცნობი ელექტრული და მაგნიტური ველები გამოისახება როგორც დამხმარე გამომსხივებლების ველების ჯამი უცნობი კოეფიციენტებით:

$$E(r) = \hat{w}_e \left\{ \sum_{n=1}^N a_n U_n(k\sqrt{\varepsilon\mu}|r_n - r|) \right\} \quad (1.56)$$

$$H(r) = \hat{w}_h \left\{ \sum_{n=1}^N a_n U_n(k\sqrt{\varepsilon\mu}|r_n - r|) \right\} \quad (1.57)$$

სადაც  $\hat{w}_e$  და  $\hat{w}_h$  შესაბამისად უცნობი ელექტრული და მაგნიტური ველების ვექტორ-პოტენციალის ოპერატორებია. უნდა აღინიშნოს, რომ დიელექტრიკის შიგნით ველი აღიწერება სხეულის გარეთ მოთავსებული  $N$  რაოდენობის დამხმარე გამომსხივებლების მეშვეობით და პირიქით.

თუ გამზნევ სხეულს ეცემა  $U^{inc}(r)$  ტალდა, სასაზღვრო პირობები შეიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად:

$$\begin{cases} \hat{W}_e \left[ \sum_{n=1}^{\infty} a_n^{out} U(k\sqrt{\varepsilon_1\mu_1}|r_n - r|) - \sum_{n=1}^{\infty} a_n^{in} U(k\sqrt{\varepsilon_2\mu_2}|r_n - r|) \right]_S = E_{\tau}^{inc}(r)|_S \\ \hat{W}_h \left[ \sum_{n=1}^{\infty} a_n^{out} U(k\sqrt{\varepsilon_1\mu_1}|r_n - r|) - \sum_{n=1}^{\infty} a_n^{in} U(k\sqrt{\varepsilon_2\mu_2}|r_n - r|) \right]_S = H_{\tau}^{inc}(r)|_S \end{cases} \quad (1.58)$$

სადაც  $\hat{W}_e$  და  $\hat{W}_h$  სასაზღვრო პირობების ოპერატორებია,  $a_n^{in}$  და  $a_n^{out}$  შესაბამისად დიელექტრიკის შიგნით და გარეთ განლაგებული დამხმარე გამომსხივებლების კოეფიციენტებია, ხოლო  $E_{\tau}^{inc}(r)|_S$  და  $H_{\tau}^{inc}(r)|_S$   $S$  ზედაპირზე დაცემული ველის ტანგენციალური მდგენელებია. თუ  $S$  ზედაპირზე არჩეულია  $N$  კოლოკაციის წერტილი, რომელშიც მოითხოვება სასაზღვრო პირობის შესრულება, მაშინ (1.58) წარმოადგენს უცნობი

კოეფიციენტების მიმართ წრფივ განტოლებათა სისტემას. ამ სისტემის ამოხსნით განისაზღვრება  $a_n^{in}$  და  $a_n^{out}$  კოეფიციენტები, და უცნობი გაბნეული ველი შეიძლება გამოითვალოს (1.56) და (1.57) ფორმულების საშუალებით. ისევე როგორც წინა შემთხვევაში, დ.გ. მეთოდით (1.56) და (1.57) მიახლოებითი ამოხსნა მიისწრაფის ჭეშმარიტისკენ კოლოკაციის წერტილების რაოდენობის გაზრდით [15, 16, 17].

